



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 2 20 00260661



28/02/2020

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ატესტაციის
შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 12 თებერვლის №180239 სამსახურებრივი ბარათისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 20 თებერვლის №223530 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ დამსაქმებელთა, საერთაშორისო ექსპერტთა და სტუდენტთა) ატესტაცია (შემდგომში - ატესტაცია) ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მინიმუმ ერთი სტანდარტის შესაფასებლად შესაბამისი სპეციფიკის ცოდნა და გამოცდილება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა;

გ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- გ.ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ.დ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- გ.ე) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
- გ.ვ) შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები;
- დ) კომპიუტერული უნარების ქონა;
- ე) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ვ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- ზ) ინგლისური ენის ცოდნა.
2. ატესტაციის ეტაპებად განისაზღვროს:
- ა) ექსპერტთა რეგისტრაცია - 2020 წლის 28 თებერვლიდან 2020 წლის 13 მარტის ჩათვლით;
- ბ) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ექსპერტთა შესაბამისობის შეფასება;
- გ) ექსპერტთათვის ინდივიდუალური შედეგების გაცნობა - არაუგვიანეს 2020 წლის 22 მაისისა.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:
- ა) ინსტიტუციის თვითშეფასების ნიმუშის საფუძველზე შესასწავლი საკითხებისა და ინტერვიუების პროცესისთვის შესაბამისი შეკითხვების შემუშავება;
- ბ) ინტერვიუების პროცესის სიმულაცია;
- გ) შესაბამისი დასკვნის მომზადება;
- დ) გასაუბრება.
4. ატესტაციის შედეგები აისახება შესაბამისი კომისიის ოქმში, რომელიც ცენტრის დირექტორს წარედგინება არაუგვიანეს 2020 წლის 13 მაისისა.
5. ატესტაციაში ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება წარმოადგენს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველს.
6. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

თ. მახარაშვილი